# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
# დადგენილება №01-06-02/40

ქ. თბილისი

13 ოქტომბერი 2020

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსებითი „მასალათმცოდნეობის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-04/190 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი „მასალათმცოდნეობის ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**